№ 244

1877—1898

პარასკევი, 13 ნოემბერი, 1898 წ.

ივერია

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12 . . .	10—	6 . . .	6 —
11 . . .	9 50	5 . . .	5 50
10 . . .	8 75	4 . . .	4 75
9 . . .	8 —	3 . . .	3 50
8 . . .	7 25	2 . . .	2 75
7 . . .	6 50	1 . . .	1 50

ცალკე ნომერი—5 რთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

№ 244

პარასკევი, 13 ნოემბერი, 1898 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

„ივერია“

გამოვა 1899 წელსაც

იმავე პროგრამით, როგორც წინად.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

ტფილისი,

„ივერიის“ რედაქცია,

ნიკოლოოზის ქუჩა, 21.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარიას სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა და

აქაში, სიდდეკელის წიგნის მაღაზიაში, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ქალანთაროვის ქარვასლის პირ-და-პირ.

ტელეფონი № 227.

სატელეგრ. ადრესი:

ТИФЛИСЪ. Редакція „ИВЕРІА“.

22 ნოემბერს 1898 წ. სოფ. ქვემო-მაჩხაანში დანიშნულია **მოკმარე-ბელ საზოგადოების წევრთა**

საგანგებო კრება

კრების საგნებს შეადგენს:

1. გამგეობის მოხსენება საზოგადოების დღევანდელ მდგომარეობის შესახებ;

2. საზოგადოების შენობის საქმე;

3. გამგეობის ერთი წევრის არჩევა ბ-ნ ჩიგოგიძის მაგივრად, რომელმაც წევრობის უარი განაცხადა,

და 4. მსჯელობა საზოგადოების მდგომარეობის გაუმჯობესობის შესახებ.

გამგეობის წევრნი: { ფ. მახარაძე, ივ. ნ. გომელაური, ნ. პოპიაშვილი

ახალი ამბავი

*** კახეთის ყოველის კუთხიდგან ისმის ამბავი, რომ სირაჯები და ჩარჩები სარგებლობენ ხალხის შევიწროებულ მდგომარეობით და იმდენად ამცირებენ ღვინის ფასს, რომ წლევანდელ უხვის მოსავლიდგან ლამის ხელ ცარიელი დასტოვონ. ამის გამო ჩვენის სამეურნეო ბანკის გამგეობას, როგორც შევიტყეთ, გადაუწყვეტია გაგზავნოს თავისი წევრი თ. ვ. ს. მიქელაძე, რათა მიიღოს ყოველ გვარი საშუალება და გაუადვილოს ხალხსა ბანკიდგან ფულის მიღება.

*** 10 ნოემბერს წმ. გიორგის დღესასწაულისა გამო ქვაშვეთის ეკკლესიაში მწირველი ბრძანდებოდა საქართველოს ექსარხოსი ფლაბიანე. წირვის დროს ეკკლესიაში გალობდა მგალობელთა ორი გუნდი: ექსარხოსისა—რუსულად და ქვაშვეთის ეკკლესიისა—ქართულად. თუმცა ძლიერ ცუდი დარი იყო, მაგრამ ხალხი მაინც ერთობ ბლომად დაესწრო წირვას. წირვის შემდეგ მაღალ ყოვლად სამღვდელო ფლაბიანე სამღვდელოებითურთ შემოსილი შებრძანდა ეკკლესიის გალავანში ახლად აგებულს სამრევლო სკოლის შენობაში, სადაც პარაკლისი გარდაიხადა და ახალი შენობა აკურთხა. კურთხევას დაესწრნენ: სკოლის მზრუნველი კნეინა მუხრან-ბატონისა, კავალერიის გენერალი თავ. ი. გ. ამილახვარი, თავ. ა. ი. მუხრან-ბატონი, თ. ა. მ. მუხრან-ბატონი, ბ-ნი არჯევანიძე, საეპარქიო სკოლების ზედამხედველი ბ-ნი ტატიშვილი და სხვ.

შემდეგ მისი მეუფება და ზემო ჩამოთვლილნი საპატიო სტუმრები ეკკლესიის წინამძღვარმა მარკოზ ტყემალაძემ შეიპატიჟა სადილად. სადილის შემდეგ ყველამ დიდი მადლობა გარდაუხადა მღვდელს ტყემალაძეს ამ დიდი დავწლისთვის, რომელიც მას მიუძღვის საეკკლესიო შენობის აგების საქმეში.

*** ოთხშაბათს, 11 ნოემბერს, მთავარ-მართებლის განკარგულებით დანიშნულმა კომისიამ გასინჯა ავჭალაში ქალაქის წყლის მილის ყველა შენობა და მოწყობილება.

*** კვირას, 15 ნოემბერს, აკურთხებენ ახლად დაარსებულს თავ-შესაფარს სულით-ავადმყოფთათვის.

*** გუშინ, 12 ნოემბერს, ტფილისის პოლიცმეისტერის განკარგულებით, მეცხრე ნაწილის პოლიციამ ხელწერილი ჩამოართვა სახერხავ ქარხნების პატრონთ წყლის პირის ქუჩაზედ იმის შესახებ, რომ ერთის თვის განმავლობაში თავიანთ ქარხნების წინ ქვა-ფენილი გაჰმართონ.

*** მკითხველებს ეხსომებათ უთუოდ, რომ ამას წინად კავკასიის მთავარ-მართებლის განკარგულებით, მთავარ-მართებლის საბჭოს წევრი ნ. ი. პრიბილი ბორჩალოს მაზრაში წავიდა სამაზრო გამგეობის საქმეთა სარევიზიოდ და აგრეთვე ამ მაზრაში ავაზაკობის მოსასპობლად შესაფერ ღონის-ძიებათა მისაღებად. როგორც ისმის, ნ. ი. პრიბილს უკვე დაუმთავრებია მინდობილი საქმე და ახლა გუბერნიის სხვა მაზრებში აპირებს წასვლას.

*** გუშინ, 12 ნოემბერს, ტფილისის ხარჯის ამკრებ ინსპექტორებმა ბარაკოვსკიმ და ქალანთაროვმა რევიზია მოახდინეს ქალაქის გამგეობის იმ წიგნებისა და საქმეებისა, რომელიც ქალაქის უძრავ ქონებაზე დადებულ სახელმწიფო გარდასახადს შეეხება.

*** როგორც ტფილისის გუბერნიის სასოფლო-სამეურნეო თანხის უწყებიდგანა სჩანს (მკითხველებს ეხსომებათ, რომ ეს თანხა დაარსებულ იქმნა გუბერნატორად ნამყოფის თავ. გ. დ. შერვაშიძის მეცადინეობით) ტფილისის გუბერნიის 1627 სოფლის საზოგადოებას ჰქონია ფულად სახელმწიფო ბანკის შემნახველ კასსაში 1,126,322 მანეთი და 40 კაპ. ამას გარდა მაღაზიებში ჰქონია შენახული სულადი: 87,764 ფუთი პური, 13,626 ფუთი ფეტვი, 2,124 ფუთი ქერი და 430 ფუთი სიმინდი.

*** რადგანაც ქალაქის წყლის მილის გამგემ მიხაილოვმა თანამდებობას თავი გაანება დროებით ამ თანამდებობის აღსრულება მიენდო ქალაქის ტეხნიკოსს ბ-ნ ლისიცევს, ხოლო ტეხნიკოსის თანამდებობის აღსრულება—ბ-ნ ჩიკალინს.

*** ქალაქის მკურნალთა და ბოქაულთ უკვე დაათვალიერეს ის სასმელების დუქნები, რომელნიც ქალაქის პირველ, მეორე და მეხუთე ნაწილებშია და სხვა ნაწილების დუქნების დათვალიერებას შეუდგნენ. 200-ზედ მეტი ოქმი შეუდგინეს სხვა და სხვა მედუქნეებს დუქნების წესიერად არ შენახვისათვის.

*** ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილებას გარდაეცა განსახილველად საქმე ფოსტა-ტელეგრაფის მოხელედ

ფელეტონი

გაჭულა უსენაშვილის ცხენი „ოგოლა“

(ხოსია უსენაშვილის ნაამბობი).

გაჭულა უსენაშვილს *), მეფე ერეკლეს დროს, ერთი შესანიშნავი ცხენი ჰყოლია. მისი ქება დღესაც დარჩენილია მთელს ქიზიყში. ძნელად შეიძლებოდა თურმე ამაზედ კარგი ცხენი. მისი სილამაზე-სიმარდე, მანძილზედ სირბილ-სიარული; სიდინჯე და სიკეკლუცე კაცს თვალს მოსტაცებდა, გააკვირვებდა. ტყვიასავით მალი, იგი დრინჯი იყო, როგორც კარგი მორთულ-მოპრანჭული პატარძალი. მუდამ ცქვიტი, მხიარული, ჯაფის ამტანი და მოუღალავი, საითკენაც გინდათ გექნათ თავი, სულ ერთი იყო იმისათვის. გეფიქრებოდათ, რომ დაგიდგებოდათ თუ?! ორმოც ვერსს ირბენდა, შეაფეთქებდით ერთის წუთით და ისევ მზად იყო ამდენივე გაერბინა. ერთის სიტყვით, ეს დალოცვილი საქონელი ცხენი-კი არა, სწორედ რაში ყოფილა, ზღაპრად რომ იტყვიან. რა ტარება გინდათ, რომ მას არ ჰქონოდა: წყნარი ნაბიჯი, ჩქარი ნაბიჯი, იერიში, ქურთი იერიში, გამალებული ტარება, გაქანებული, ჩორთი, ჩერქეზული, მგლური ძუნძული, მშველიური და სხვ. და სხვ. ხოლო ქენებაში თვალს ვერ მოჰკრავდით: ისე მიქროდა, როგორც ქარიშხალი. კარგი, ძალიან კარგი მხედარი უნდა ყოფილიყო, რომ ზედ შერჩენოდა კაცი გაქცევის დროს. როგორსაც უნდა ციცაბზედ დაგეშვათ, ვითომ წამოგექცეოდათ, ან წაგებორძიკებოდათ. ფიქრადაც მოსასვლელი არ იყო ეს. სწორე, აღმართი, დაღმართი, მისაბრუნ-მოსაბრუნი, მიხრინკ-მოხრინკული სულ ერთი იყო იმისთვის. თხრილი დაუხვდებოდა, კლდე, ხევი გადაფრინდებოდა, როგორც ფრინველი. გონებით კიდევ, რომ იტყვიან, ნამდვილი ადამიანი იყო. დაუძახებდით, როგორც ძაღლი, ისე წამოგყვებოდათ; დააყენებდით სადმე, ფეხს ადგილიდგან არ მოიცვლიდა; წასული იყავით და მოხვიდოდით შინ, შორიგან შემოგჭიხჭიხებდათ, თითქოს გეუბნებოდათ: „აქა ვარ შენი ერთგული მონა, მოსამსახურეო“. სიბნელე არ არსებობდა თითქოს მისთვის: ბნელს ღამეში გზას ისე გააგნებდა, ვითომც ჩირაღდნებით განათებული ყოფილიყოს. თოვლ-ქყაპ-ქარ-ბუქში ისე გატარებდათ, თითქოს ეტლში მჯდარიყავით. მგელს, ძაღლს როგორ შეეძლო მასთან მიკარება მიწაწანება, ისეთს ჩაუტიალებდა წინა ტოტს თავში, რომ იქვე სული გასძრომოდა.

ამ მრავალ ღირსებასთან, დიდი სიამპარტავნეც-კი ჰქონდა თურმე. ღმერთს ნუ ექმნა, რომ მათრახი მიგეკარებინათ მისთვის: თითონაც გადაიჩეხებოდა და თქვენც სადმე გადაგჩეხავდათ. რაღა ბევრი ლაპარაკი გავაგრძელო, ეს ცხენი სწორედ საუნჯე იყო კაცისათვის.

დიდად უყვარდა იგი გაჭულას. ეს შეადგენდა მისს სიამოვნება-სიხარულს; სიმდიდრე-ბედნიერებას; თავისს ცხოვრებაში მას არას შეუდრიდა იგი თურმე.

ერთს დიაღ რომ მდიდარს და თავმომწონე, ცხენის კარგა მცოდნე და მოყვარულს, თავადს ერთხელ, ჯირითში, თვალი დაეკრა და ერთის დანახვითვე ისე მოსწონებოდა, ისე შევარდნოდა გული ამ ცხენზედ, რომ გარდაეწყვიტა მოეპოებინა იგი, რაც-კი უნდა დასჯდომოდა, თუნდა მთელი თავის ქონება-ცხოვრება. მისულა თავადი და უთხოვნია გაჭულასათვის: მიეღო მთლად მისი ყმადედული და დაეთმო თვისი ცხენი. „თუნდა მთელი სამეფო მომცე, ცხენის გამღები არა ვარო“, ამაყად უთხრა თურმე გაჭულამ, ერთი კოხტადაც შემოატრიალა მერანი თავადის წინ და თვალის დახამხამებაზედ სადღაც გადიკარგა; ვერ-ვინ მოასწრო დანახვა, რამ ჩაყლაპა: ცამ, თუ დედამიწამ. ამის მნახავმა თავადმა, თურმე ველარა იკეთილა-რა: ქვეშაგებად ჩავარდა და დარდს თან გადაჰყვა.

ეს ცხენი მდევრობაში მოუკლავთ გაჭულასათვის. ლეკებს ქიზიყიდგან გაუტაციათ საქონელი. დაუძახნიათ მდევარი: გულადნი და შემაერთებელნი ქიზიყელნი გამოსდგომიან თავ თავისის მალი ცხენებით. უსენაშვილს გზა შეუკრავს ლეკებისათვის მაგრამ, საუბედუროდ, უცბად შეხეთქებია მტერს, დაუშენიათ ლეკებს თოფები, გაჭულას უცაბედად აუსაფრებია თავის ცხენი, რომელიც რამდენსამე ტყვიით დაჰრილა. ზედა ტანებით მდევარნი. ქიზიყელები მოშველებიან გაჭულას, გაუმარჯვნიათ ლეკებზედ, მრავალნი დაუხოცნიათ, დავლა დაუყრევინებიათ. ხუთის ტყვიით მხრებში დაჰრილი ცხენი შინამდინ კიდევაც მოსულა, მაგრამ აქ დაცემულა და მომკვდარა. მოამაგე ცხენი პატრონს, როგორც ადამიანი, დაუმარხავს. ამ ამბის შესახებ შემდეგი ლეგენდა დარჩენილა ლექსად:

„აღმართზედ ვიყავ მერანი,
დაღმართზედ ჩავჩოჩდებოდი;
ვაკეზედ რომ გავიდოდი,
მწყერივით გავგოგდებოდი.
„საჯირითო მოედანზედ,
არა ვის ჩამოვრჩებოდი;
ჩხუბშიაც გაჭირვებულში,
ძმასავით გეშველებოდი.
„ღამესა დიაღ ბნელსასა
ძაღლივით გიდარაჯებდი.
ჩემისა მოქმედებითა
ყველასა გავაკვირვებდი.
„ერთის კვირის უჭმელობით,
ღმერთმანი დაგიდგებოდი;
ერთის დღით წინ წასულს მტერს
ფიცხლავა მოვეწეოდი.
„ქუხილსა, თოფის გვრგვინვაზე,
არ ოდეს დაგიფთხებოდი;
ამას რა მომაგონებდა,
წინადამ ამისაფრებდი?!
„მაგრამ მე თავსა საწყალსა,
შენთვის არ დავიშურებდი;
ხუთი ტყვია მხრებში მომხვდა,
რაღაში გამოვდგებოდი.
„დიდხანს იცოცხლე, პატრონო,
მალი-მალ მომიგონებდი;
მაგრამ-კი ცხენსა ჩემებრსა
შენს დღეში ველარ იშოვნი“.

ეს ცხენი ყოფილა ფერად წითელი, ძარღვიანის, ხმელის ტანისა. უკანანი წმინდა ჰქონდა და მხრები განიერი და ხარული. ჩლიქები მეტად მსხვილი ჰქონია თურმე და შუა-ფაფარი ისეთი თხელი და წმინდა, როგორც კარგი ქალის თმა. მისი საბმელი ჯაჭვი ურმის ჯამბრად აქვს დღესაც ერთს ოჯახს სოფელ მაღაროში. შესანიშნავის ხელოვნებისაა ეს ხელთ-ნაკეთები ჯაჭვი. რამდენ-

*) ქიზიყში, სოფელს მაღაროში მცხოვრებელს.

ნამყოფის აზნაურის ნიკოლოოზ მომეანიძესი, რომელსაც ის ბრალი ედება, რომ 1897 წელს, 7 ივლისს, როდესაც ახალქალაქის საფოსტო კანტორის მოხელედ იყო, გახსნა წერილი პავლე ტიუკინისა, რომელშიაც 60 მანეთი იდო, ამოიღო ეს ფული და მიითვისაო.

*** მიწად-მოქმედების სამინისტრომ დაამტკიცა წესდება სოხუმის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისა.

*** თელავიდგან სწერენ „ახ. მიმოხ.“-ს, რომ ქ. თელავის მამასახლისის თანაშემწედ 2 ნოემბერს არჩეულ იქმნა აღგილობრივი ვაჭარი ს. მიღდისოვიო.

*** რუსულის გაზეთების სიტყვით, აზრადა აქვთ ტფილისში დააარსონ საბეითალო ლაბორატორია.

*** ახალციხიდგან რუსულ გაზეთებს დეპეშით ატყობინებენ, რომ სასამართლომ განიხილა მეფისაშვილის მოკვლის საქმე და ყველა ბრალდებულნი უდანაშაულოდ სცნოო.

*** ქუთაისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის სესსიამ, გაზ. „ჩერნ. ვესტ.“-ის სიტყვით, ამას წინად განიხილა სოხუმში საქმე მღვდლის ქავთარაძისა, ალექსი ცუეგბაიასი და გურგულიასი, რომელთაც აზნაურის მახარიას მოკვლა ჰბრალდებოდათ. სასამართლომ მღვდელი ქავთარაძე გაამართლა, ხოლო ცუეგბაიას და გურგულიას გადაუწყვიტა ათის წლით კატორგაში გაგზავნა. გაზეთი დასძენს, რომ ამის მიუხედავად ამ საქმემ უშეურისძიებოდ არ ჩაიარაო: 26 ნოემბერს, ოჩამჩირეში, მოკლულის მახარიას შვილმა ხანჯლით რამდენსამე ადგილას დასჭრა ალექსი ცუეგბაიას მამა მახმუდ ცუეგბაიაო.

*** სოხუმიდგან სწერენ გაზ. „კავკას“-ს: სოხუმის საეპარქიო კანცელარიამ მიიღო უწმ. სინოდის ბრძანება იმის შესახებ, თუ რა წესით უნდა იქმნას შესრულებული წირვა-ლოცვა სოხუმის ეპარქიის სხვა-დასხვა მრევლში. ამ ბრძანების ძალით იმ მრევლებში, სადაც რუსები სცხოვრობენ, წირვა-ლოცვა სლავიანურს ენაზედ უნდა იქმნას შესრულებული, სადაც აფხაზები სცხოვრობენ—სლავიანურს ენაზედვე, რადგანაც აფხაზურს ენაზედ არ არის გადათარგმნილი საეკკლესიო წიგნები. მხოლოდ ლოცვებს გადასთარგმნიან და წაიკითხავენ აფხაზურს ენაზედ. იმ სოფლებში-კი, სადაც მეგრელები სცხოვრობენ, უწმ. სინოდმა საჭიროდ სცნო, რომ წირვა-ლოცვა ქართულს ენაზედ იქმნას შესრულებული.

*** ქუთაისი. ურიგო არ იქნება, რომ ქალაქის გამგეობა ყურადღებას მიაქცევდეს ბალახვანის ქუჩას, რომელზედაც გადასვლა წვიმის დროს შეუძლებელია. საქმე ის არის, რომ ეს ქუჩა ნახევრად გაუკეთებელია, აქეთ-იქით თხრილები არა აქვს გაყვანილი და არც წყლის სადენი არხები. ამის გამო, წვიმის დროს ამ ქუჩაზედ ნახევარი არშინი და მეტიც წყალი დგება და მიმსვლელ-მომსვლელნი შეწუხებულნი არიან. სხვას ყველას თავი დავანებოთ. მაგრამ ბალახვანში საქალებო საეპარქიო სასწავლებელია სტრუიცკის მიერ ნაჩუქარ შენობაში მოთავსებული. მოსწავლე ქალებმა მომეტებულ ნაწილად ამ ქუჩაზედ უნდა გაიაროონ, როცა სასწავლებელში მიდიან და იქიდგან სახლში ბრუნდებიან ხოლმე. ადვილი წარმოსადგენია, რა გაჭირვებაში უნდა იყვნენ საბრალო ახალგაზდა მოსწავლე ქალები ამ ზამთარში, როცა ბალახვანის ქუჩა წყლით არის დამალული და იმათ-კი სასწავლებელში მიეჩქარებათ.

*** ხარაგაული, (შორაპნის მაზრა). ამ სოფლის სადარდელი ის იყო, რომ „აფთიაქი არ ჰქონდა და ორი შაურის წამლისთვის ხშირად ზესტაფონში ან სურამში უნდა გვევლო. ეს ნაკლი თავიდგან აგვაშორა ბ-ნ გუნცაძემ, რომელმაც აქ აფთიაქი გახსნა. ეხლა ყველაფერზედ უფრო ის გვაწუხებს, რომ ექიმი არა გვყავს და ყოველთვის და ყველასთვის შორიდგან ექიმის მოწვევა ანუ ავადმყოფის ექიმთან წაყვანა შეუძლებელია. ამიტომ კარგს იზამს ახალგაზდა ექიმი ბ-ნი ვახტანგ ლამბაშიძე, რომელიც ზესტაფონში სცხოვრობს, კვირაში ანუ ორ კვირაში ერთხელ ამოვიდოდეს ხარაგაულში და ამით ყველა აქაურ ავადმყოფს შეძლებას მისცემდეს ექიმის დარიგებით წამლობისას. რაღა თქმა უნდა, ბ-ნს ლამბაშიძეს ჩვენ ტყუილად არ გავრჯით; შეძლების კვალობაზედ შრომის ფასს მივართმევთ მას, რადგან ჩვენი სოფელი ღარიბი არ არის და ყოველთვის შეიძლებს შრომის ფასი გაიღოს.

ბ-ნი ლამბაშიძე თუ ამ ჩვენს წინადადებას შეიწყნარებს, იმ შემთხვევაში ჩვენ ვალდებულნი ვართ—გასასინჯ ავადმყოფებისთვის ერთს ადგილს ვიშოვოთ ბინა, რათა ნაკლები ჯაფა მოუნდეს ექიმს. ასეთის სახლის შოვნისათვის უთუოდ გაირჯებიან აქაური პოლიციის ბოქაული, აფთიაქის პატრონი ბ-ნი გუნცაძე და სხვები.

*** ს. მეტეხი, (ქართლი). ჩვენს სოფელში ძალიან გახშირდა ქურდობა; ალარას უშვებენ, ცხენს მოასწროობენ, თუ შინაურს ფრინველს. ამ დღეებში მოჰპარეს ერთს გლეხს ერთი სკა ფუტკარი, რომელშიაც ათი ლიტრა თაფლი იქნებოდა და მეორეს—შვიდი სკა. ქურდები ჯერ ვერ აღმოაჩინეს. მაგრამ, როგორც ამობენ, ისინი უფრო შინაურები უნდა იყვნენ, ვიდრე შორიდგან მოსულები. არ იქნება ურიგო, ადგილობრივმა მამასახლისმა მიაქციოს ყურადღება ამ გარემოებას და ან დარაჯები დააყენოს და ან სხვა ღონისძიება რამ იხმაროს, თორემ თქვენი მტერი, ცუდს დღეში ჩაგვაგდებენ ქურდები.

ამინდები აქ ძალიან კარგია. პურისა და სიმინდის მოსავალი საშუალო იყო, ყურძნისა-კი ძალიან ნაკლები. ხალხის სნეულება არა არისრა ამ ჟამად.

*** „ახ. მიმ.“-ს სიტყვით, ქუთაისის გუბერნატორის საგანგებო საქმეთა მოხელის თაოსნობით თანამდებობაზედ დანიშნულ იქმნა მხეიძე.

*** 5 ნოემბერს, „Русск. Инв.“-ს სიტყვით, ალექსანდრეს სახელობაზედ დაარსებულმა დაჭრილთა დამხმარებელმა კომიტეტმა დაადგინა: მიღებულ იქმნას მოსკოვის ალექსანდრეს სახელობის დედათა ინსტიტუტში საინვალიდო თანხის ხარჯზედ შოდშოდოვნიკის მაჭკვარიანის ქალი მიღება.

*** გუშინ, 12 ნოემბერს, ქალაქის მე-5 ნაწილში აბას-აბასის მოედანზედ პოლიციამ საზიზღარი მკვლელობა აღმოაჩინა.

დილის ექვს საათზედ პოლიციამ აბას-აბასის მოედანზედ, ქვა ფენილზედ, თავ. ნ. არღუთინსკი-დოლგორუკის სახლის პირდაპირ თავადი მოჭრა რაღაც დიდ ტომარას. როდესაც ახლო მივიდა, ტომარაზედ სისხლის წვეთები დაინახა. შემდეგ ხელი წაავლო და დარწმუნდა, რომ შიგ კაცი იყო. იმ წამსვე პოლიციელმა შეატყობინა ეს ამბავი მე-5 ნაწილის პოლიციას, საიდგანაც იმ წამსვე ბოქაული მიეიდა. როდესაც ტომარა გახსნეს, შიგ მოკლულის კაცის გვამი აღმოჩნდა, რომელსაც ჩოხა ეცვა.

გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ მოკლული ოფიცერი ტფილისის მცხოვრები სარჭის მარტიას ძე მარტიროზოვი, 30 წლისა. მარტიროზოვს საკუთარი სახლი ჰქონია ავლაბარში. მკვლელობის წინა დღეს, სალამოს, მარტიროზოვი მისულა ოქრომჭედლის კონსტანტინე გაზების სისხლი კიდევ ეტყობოდა თურმე გოხებს.

ერთხელ ნაომარზედ *) დაინახავს ბაჭულა ირემს, გამოედევნება თავისის ცხენით და, რამდენისამე ხნის დევნის შემდეგ, დაეწევა და ხანჯლით მოჭკლავს. ამის შესახებ დარჩენილა ლექსად გამოთქმული ირმისა და ბაჭულას ცხენის საუბარი.

ცხენი. სად მიხვალ თეთრო ირემო,
ქორ-ბუდიანო, ჩხიანო.
ირემი. რა გინდა, ცხენო, ტიალო,
შე ფეხებ შუმაყიანო!
ცხენი. მაშინ დამცინე, ირემო,
ნალები მოგიწკრიალო;
მოგწიო ჩემი პატრონი,
ხანჯალი დაგიტრიალოს!

ქიზიყში აქამომდე გაქცევით იციან სახნავ-სათესის, სათიბების დაჭერა. გამოვლენ მთელის სოფლიდგან ცხენიანი ვაჟკაცნი, დამწკრივდებიან და ერთს დროს, როდესაც ნიშანს ააფრიალებენ, ამოდენა ცხენოსანი დაიძვრის. ვინც წინ მივა და დაიჭერს სახნავ-სათიბსა, იმისი იქმნება, რაც უნდა დიდის ზომისა იყოს. თურმე ბაჭულას ცხენს ვერც ერთი ცხენი ვერ მიასწრებდა ადგილას მისვლას.

ამ ცხენის სიკვდილის შემდეგ, ბაჭულასაც თურმე მაგდენი რამ ხანს აღარ უცოცხლია. ცხენის დარდს იგი თან გადაუტანია.

შესანიშნავია ქართველების შეხედულება პირველა ცხენის დაშინაურების შესახებ. ცხენი ზღვის ქაფისაგან არის შემდგარიო, იტყვიან ქიზიყელნი. ხალხის თქმულებით, რაში ხშირად გამოდიოდა წყლიდგან, მაგრამ კაცი ვერა-ნაირად ვერ ახერხებდა იმის დაჭერა-გაშინაურებას. შემდეგ, როდესაც პირველად ზღვიდგან ცხენი გამოიყვანეს, ეს შვიდი პირობა დაადებინა ცხენმა ადამიანთ: ა) სნეულს მომიარეთ და საჭმლითა და წამლით ხელი შემიწყეთო; ბ) უნალოდ არ მატაროთ; გ) საპალნე არ ამკიდოთო, დ) ძუა არ შემაჭრათო, ე) ყურის წვერი არ გამიხიოთო, ვ) უწმინდური დედაკაცი არ შემსვათო; ზ) წმინდა ადგილს დამაბიოთო. დაუდეს ეს პირობანი და სიტყვა მისცეს კაცთა და ამის შემდეგ ცხენი ზღვიდგან ხმელეთად გამოვიდაო.

ა. ნატროშვილი

*) ნაომარი ქიზიყშია და ეძახიან ერთს გაშლილს მინდორს ივრის მხრისაკენ, უწინ ხშირად შევხვდებოდით აქ ირმებსა. ჯეირნების ფარა ეხლაც მოიპოვება აქ.

განმე, ეტყობა, გაწყვეტილა და გადაუბამთ შემდეგში. მისი ლაგამი უხმარად დევს, რადგანაც მეტის-მეტად დიდი და მძიმეა. ამ ცხენზედ პატრონის მეტი თურმე ვერავინ ჯდებოდა, ხალხი ამბობს: „ფრთიანი იყოვო, მხოლოდ ფრთები გარედგანკი არა, შიგნიდგან ჰქონდაო“.

სახელი „ობოლა“ დაუძახნიათ იმის გამო, რომ მალე მოჰკდომია დედა, რომელიც სადღაც ერთს ომში უშოვნია ბაჭულას. ობლად დარჩენილი, ორის კვირის კვიცი, ჯერ თხისათვის შეუჩვევიათ; შემდეგ კიდევ, როდესაც თხა გამშრალა, კამბეჩისათვის. ამ ნაირად გამოზრდილა ობოლა, რომელიც ბოლოს გარდაქცეულა ისეთ გამოჩენილ ცხენად, რომ თურმე ანთებულს თონეზედ ისე გადახტებოდა, რომ ფეხს არას მოარტყამდა, ბეწვს არ შეიტრუსავდა.

ერეკლე კახთ ბატონს ებრძანებინა ამ ცხენის მოყვანა. ბაჭულამ მოართვა ბატონ-მეფეს თავისი ცხენი და მოახსენა, რომ ხამის კაცის ჯდომა შეუძლებელიაო. მეფემ უბრძანა საუკეთესო თავისს მხედარს ამ ცხენის ჭენებით გამოცდა. მაღაროდგან გამოჭენებულს ვიდრე საჯერნომდე (10—11 ვერსია) ურბენია ამ ცხენს ისეთის სისწრაფით, რომ მეტის-მეტის ძალით თვალის კაკლები დასთეთრებია ზედ მჯდომს. მეფეს უბრძანებია ცხენის უკან დაბრუნება და ასე შეუთვლია: „ამ ცხენს ბაჭულასავით მხედარი უნდაო“, თან საჩუქარიც უწყალობებია ბაჭულასათვის.

ეს ბაჭულაც ისტორიული გმირი ყოფილა. იგი იყო თურმე მეთვალ-ყურე ომიანობის დროს. იმისს მოვალეობას შეადგენდა თვალ-ყურის ჭერა მტრის სავლელ გზებზედ.

რაკი მტერი შემოვიდოდა, ის მაშხალებს აანთებდა და ამ ნაირად შეატყობინებდა მკვიდრთ მტრის შემოსევას. — გადაჰქონდა - გადმოჰქონდა ერთ მხრიდგან მეორე მხარეს ამბები მტრის ბანაკების, მის რაოდენობის, ძალისა და მდგომარეობის შესახებ, —თუ საიდგან და რა ნაირად მოდიოდა მტერი, რამდენად საშიში იყო იგი სახელმწიფოსთვის; რა რიგი ღონინძიება უნდა მიღებულიყო იმისს წინააღმდეგ და სხვ.

ბევრჯელ მტერს შეუკრავს გზა ბაჭულასათვის, მაგრამ ცხენს გადუსრესია დარაჯნი და მიუყვანია პატრონი სასურველს ალაგას.—ერთხელ ბაჭულა მადიოდა თურმე ყაზახ-ბორჩალოს მხრით და თან ამხანაგი ჰყავდა. წინ შეეფეთათ მტერი—თათრის ჯარი, რომელსაც წაეხდინა დავით გარეჯის უდაბნო. თათრები შემოესევიან და დააპირებენ ორივეს ხელ და-ხელ დაჭერას. ბაჭულა, რაკი დახედავს, რომ ბრძოლით ვერას გახდებოდა ამოდენა მტერთან, მიჰმართავს თავისის ცხენით გოგ-თეფას (დიდი ასასვლელი მთა არის ქიზიყში). თათრებიც თან აჰყვებიან და მოუკლავენ მთის წვერზედ ამხანაგს. მაშინ ბაჭულა დაუშვებს ციცაბ კლდიდგან თავის ცხენს, საიდგანაც ცხენის ჩასვლა შეუძლებელია. ცხენი, მთლად გაზებზედ დაყრდნობილი ჩაცურდება. ამ გზით მტერი ვეღარ შესძლებს დევნას, ბაჭულა კი უვნებლად ჩავა მთას და რაკი გაიმინდვრებს, მოჰკურცხლავს. გაკვირვებულნი ამ ნაირის ცხენის უნარ-მოქმედებით, თათრები უკან მიაძახებენ ბაჭულას: „ქართველო, შენ ცოლს უთხარ, მაგ ცხენს კარგად მოუაროსო“. ბაჭულამ გასძახა: „კიდეც ჩემი ცოლი უვლის და იმიტომ გარბის ასეო“. ბაჭულამ მიიტანა ამბავი, როგორც გააფუჭა და აიკლო მტერმა გარეჯის უდაბნო, როგორ გადაარჩინა და გამოიყვანა თავისმა ცხენმა. არავინ დაიჯერა, რომ ამ მხრით შესაძლო ყოფილიყო მთის ციცაბიდგან ცხენის ჩამოსვლა. მდევარი დაედევნება თათრებს, დაამარცხებს და დააყრევინებს ნადავლსა.

შინით გამობრუნების დროს შინჯვენ და დარწმუნდებიან, რომ, მართლა, იმ გზით ჩამოსულიყო ბაჭულა ცხენით. ცხენის ნაცური, მისის

⁂ თელავის მაზრის სოფელ ძველ-გავაზში სოფელ კოლაკის მცხოვრებმა იმანალიაშვილმა ხანჯლით სამს ადგილას დასჭრა ჰოდოდის მცხოვრები ტოპელაშვილი.

⁂ 10 ნოემბერს, ღამე პოდპოლკოვნიკის თავ. რ. გ. წერეთლის სადგომიდგან, ნიკოლოზის ქუჩა, იედიგაროვის სახლიდგან, ვიღაც ქურდებმა მოიპარეს ოთხი პალტო.

⁂ „ტფ. ფურ.“-ი სწერს: ამ რამდენისამე თვის წინად ბაქოდგან სადღაც დაიკარგა ცამეტის წლის ქალი მარიამ შ. დედ-მამამ და პოლიციამ ბევრი ეძებეს, მაგრამ ქალი ვერსად იპოვეს. ოქტომბრის გასულს მამამ მიიღო წერილი, რომელშიაც ქალი ატყობინებდა,—ტფილისში ვცხოვრობ ვიღაც კ—ვთან, ნაძალადევშიო. ამასთან ქალი სთხოვდა მამას ან ფული გამოგზავნე ბაქოში ჩამოვიდე, ან ბაშფორთი, რომ აქ ტფილისში რამე საქმეს მოვკიდო ხელიო. მამამ მაშინ წერილით ტფილისის პოლიცმეისტერს მიჰმართა და სთხოვა ქალი ბაქოში გამომგზავნეთო, ამასთან კ—ვის ადრესი უჩვენა. 2 ნოემბერს შ. ბაქოში თვით კ—ვმა ჩაიყვანა. აქ შ—მ პოლიციას გამოუცხადა, რომ ამ სამის თვის წინად წავედი რკინის გზის სადგურზედ, სადაც აჯიქაბულიდგან მომავალს ჩემ დასს უნდა დავხვედროდიო. სადგურზედ ვიღაც კონდუქტორმა დამიწყო ლაპარაკი, შემდეგ კონდუქტორების ვაგონში შემიტყუა და კარები ჩამიკეტა. როდესაც აჯიქაბულში მივედით, კონდუქტორმა ვიღაც კაცი შემოიყვანა და მითხრა: „აი ეს კაცი მოგიყვანეო“. კ—ვმა ტფილისში წამიყვანა და თავისთან მაცხოვრებდა, ვიდრე წერილს მივწერავდი მამასაო.“

⁂ სოფ. ქვემო გავაზი. ქვემო გავაზის (თელავის მაზრა), მცხოვრებელს გლეხს ნინია დავითის ძე ხახანაშვილის ცოლს მართას 3 ოქტომბერს დაებადა ვაჟიშვილი. ბებიად იყო იმავე სოფლის მცხოვრებელი სიდონია ნინიაშვილისა. მშობიარობის შემდეგ მელოგინე მართა სჩიოდა, რომ მუცელში რაღაც მიჩუჩუნებსო' იგი დაარწმუნეს, რომ სისხლის მოძრაობასა ჰგრძნობ, სხვა არაფერიაო. გავიდა 17 დღე და 20 ოქტომბერს მელოგინეს ეყოლა მეორე ვაჟი, სრულიად საღი და მგზავსი პირველისა იქამდის, რომ არ ირჩევიან ერთი ერთმანეთისაგან. მართა მეორე ცოლია ნინიასი; იგი 27 წლისა არის, ნინია-კი 37 წლისა, მართას პირველ ქმართან ჰყოლია ქალ-ვაჟი, რომელთაგან ვაჟი მომკვდარა და ქალი 8 წლ. ცოცხალია. მართა და მისი ვაჟებიც კარგად არიან. ტყუპის გაჩენა იშვიათი არ არის, მაგრამ ამოდენა დროს გავლა ტყუპთა დაბადების შორის უცნაურად და საყურადღებოდ მიგვაჩნია.

წერილი ზემო იმერეთიდგან

წელს აქეთკენ შემოდგომა ყველასათვის სასიამოვნო იყო. ღვინო უწინდელზედ მეტი და უფრო კარგი დადგა და სიმინდიც ბლომად მოვიდა. ისე მიდის ეს შემოდგომა, რომ ჯერ-ჯეროობით გამუდმებული ავდარი არა ყოფილა ოქტომბრის პირველ რიცხვების გარდა. ღვინის დიდმა მოსავალმა ზოგიერთს ვაჭარს მადა გაუხსნა სოფლის მკვიდრთა ნაოფლარის მუქთად ხელში ჩაგდებისა. ამისათვის დაიწყეს სოფლიდგან სოფლად სიარული ტკბილის საყიდლად და ჩაფში ოთხი აბაზის და მანეთის მეტს არ იძლეოდნენ. გაჭირვებული კაცი ნება-უნებლიედ ემორჩილება იმათს მაზანდას, რადგან სხვა სახსარი არა აქვს მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად და მუქთად აძლევს თავისს ნაშრომს. ზემო იმერელი ღვინოს თუ გაჰყიდის თორემ სიმინდი იმდენი არ მოსდის, რომ გასასყიდად გაიმეტოს. მეაბრეშუმეობასა და მებაღეობას აქ, როგორც ქვემო იმერეთში, არ მისდევენ, თუმცა-კი ეს საქმე აქაც ძლიერ კარგად იხეირებს.

ღვინის გარდა თამბაქოც კარგი მოდის ზოგიერთს აქაურს სოფელში, მაგრამ რადგან დიდი ბაჟი ადევს, ბევრს სოფელში მხოლოდ შინ სახმარებლად სთესვენ ხოლმე.

თამბაქოს რიგიანად მოყვანას რომ რომელიმე დაწესებულება ხელს შეუწყობდეს ზემო იმერეთში, დიდი ღვთის წყალობა იქმნება აქაურ მკვიდრთათვის, რადგან აქ ერთობ კარგად ხეირობს თამბაქო, მაგილითად სოფელ კიკნავლეთსა და ზეგანში. ამ ორ სოფელში ისეთი კარგის ღირსების თამბაქო მოდის, რომ თამბაქოს მყიდველნი პირველად აქ მოდიან და კარგს ფასსაც იძლევიან ხოლმე სხვა სოფელთან შედარებით.

რიგიანის გზების უქონლობა ზემო იმერეთის სოფლებს ძლიერ უკან აყენებს. როგორც შიგ სოფელში, მეზობლიდგან მეზობლამდე მისასვლელი, ისე სოფლიდგან სოფლამდე და სოფლიდგან დაბებამდე მოსასვლელი გზები ერთნაირად უვარგისია. ამის გამო ცხადია, თავიანთი ნაწარმოები სოფლის მუშა ხალხს ბაზარში ვერ გააქვს გასასყიდად და ჩარჩ მოვაჭრეების შემოსვლას უცდის, რომელნიც, რაღა თქმა უნდა, როგორც უნდათ, ისე ჰყიდულობენ სოფლის ნაწარმოებს.

გარდა ამისა უგზოობა იმ მხრივაც გვაბრკოლებს, რომ ექიმი ვეღარ მოგვიყვანია სოფლებში ავადმყოფებთან და ამის გამო ბევრი ადვილად მოსარჩენი ავადმყოფი უდროოდ ესალმება წუთი-სოფელს.

მაგრამ ღმერთმა შეხედა-რა ჩვენს ასეთს გაჭირვებულს მდგომარეობას, შეგვიბრალა და ზეციის მანანასავით მოგვივლინა ახალგაზდა ექიმი ბ-ნი ვახტანგ ღამბაშიძე. ბ-ნი ღამბაშიძე ბევრს სხვა ექიმს არა ჰგავს; იგი დაუზარებელია და მუყაითი; ვერ შეაშინებს ვერც ცუდი დარი და ვერც სოფლის უხეირო გზა;ამასთანაგე იგი შედის საწყალის ხალხის მდგომარეობაში და ხელ მოკლე ავადმყოფს სრულიად არას ახდევინებს, ისე მუქთად სწამლობს ხოლმე. ამბობენ, რომ ბ-ნი ღამბაშიძე შემდეგისათვის ზესტაფონში, თავისს საკუთარს სახლებში, საავადმყოფოს გამართვას აპირებსო. ეს ხომ საშვილიშვილო საქმე იქნება ჩვენთვის და ვინ დასთვლის, რამდენს სიკეთეს მოუტანს იგი ახლო-მახლო სოფლებს.

ზემო იმერეთი სკოლებით ძლიერ ღარიბია, მთელს შორაპნის მაზრაში სამიოდე ორ კლასიანი სასწავლებელი არსებობს; რომლებიც ყოველ წელს სავსეა მოსწავლეებით და ბევრნიც უადგილობის გამო თვალცრემლიანნი უკან ბრუნდებიან. აქაურს სოფლებში სწავლის სურვილი თან და თან ილვიძებს, მაგრამ სასწავლებლების უქონლობა ყველას ეღობება გზაში და დიდს დაბრკოლებას აძლევს. ამიტომ საჭიროა, ხალხის ყველა გულშემატკივარმა მიაქციოს ამ ნაკლს ყურადღება და ხალხო სასწავლებლების გამრავლების შესახებ იზრუნოს. ჩვენს სოფლებს სამეურნეო და სახელოსნო სასწავლებლები შეჰფერის უფრო და ეს გარემოება მუდამ უნდა გვქონდეს მხედველობაში.

ს. ჯინჭველაშვილი

რუსეთი

მკითხველებს ეხს მებათ უთუოდ, რომ ამას წინად ფერგანის ოლქში ადგილობრივ მაჰმადიანთ აჯანყება მოახდინეს. აჯანყების მოთავენი უკვე დასჯილ იქმნენ. ეხლა ხელმწიფე იმპერატორმა, ამ აჯანყების შესახებ მოხსენების თანახმად, ბრძანა: 1, გადაყენებულ იქმნენ თანამდებობიდგან მარგელანის მაზრის უფროსი პოლკოვნიკი ბრიანოვი, ანდიჟანის მაზრის უფროსის თანამდებობის აღმასრულებელი პოდპოლ. კოიშაესკი და ასაკინის ბოქაული კაპიტანი სახინგირეი-ენიკეევი; 2, საყვედური გამოეცხადოს: ფერგანის ოლქის სამხედრო გუბერნატორად ნამყოფს გენერალ-ლეიტენანტს პოვალო-შვეიკოვსკის, ოშის მაზრის უფროსის თანამდებობის ადმასრულებელს პოდპოლ. ზაიცევს, ნამანგანის და კოკანდის მაზრის უფროსებს არვანიტაკისა და დზერდზიევსკის.

— სასულიერო უწყებაში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ ციმბირში დაარსებულ იქმნას საეკლესიო საარქეოლოგო საზოგადოება და საეკლესიო-საარქეოლოგიო მუზეი.

— „Рус Лис.“-ი სწერს: ქ. ეკატერინობურგის ადმინისტრაციამ შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ ამ ქალაქში რაც შეიძლება მალე დაარსებულ იქნას მოსკოვის საიმპერატორო-სატეხნიკო სასწავლებლის მაგვარი უმაღლესი სასწავლებელი.

— პეტერბურგში 5 ნოემბრიდგან გამოდის ახალი ყოველ კვირეული ჟურნალი „Спутникъ Здоровья“. ამ ჟურნალის პირველ ნომერთან ერთად ხელის მომწერლებს დაურიგდათ აკადემიკოსის თავ. ი. რ: თარხნიშვილის წიგნაკი „Простуда“.

უცხოეთი

ინგლისი. 2 ნოემბერს ლონდონში გენერალ კიტჩენერის პატივსაცემლად გამართულს ნადიმზედ ლორდმა კიმბერლეიმ პოლიტიკური სიტყვა წარმოსთქვა, რომლის შინაარსი ამას წინად სხვა ორატორების მიერ წარმოთქმულ სიტყვებისაგან დიდად არ განსხვავდება. ორატორმა შეაქო მარკიზ სალისბერის პოლიტიკა და სთქვა, რომ ოპოზიცია მხარს უჭერს მას და ამნაირად გამოდის, რომ მთელი ინგლისი ენდობა ეხლანდელს მთავრობას და მისს მოქმედებას იწონებსო. ჩვენი ქვეყანა დამშვიდებული არისო, სთქვა, სხვათა შორის, კიმბერლეიმ; ის არავის არ იწვევს სალაშქროდ, მაგრამ მთელი ერი განმსჭვალულია სურვილით ინგლისის პატივი და დიდება დაიცვასო. კიმბერლეი ბედნიერად სთვლის თავისს თავს, რომ შემთხვევა მიეცა ლორდ სალისბერის მიუღლოცოს თაშოდის საქმეში გამარჯვება; ამასთანავე დიდად უწონებს საფრანგეთსაც, რომ კეთილგონიერება გამოიჩინა და თაშოდა ინგლისს დაუტოვა. მე არ მესმისო, სთქვა ლორდ კიმბერლეიმ, თაშოდის დატოვებით საფრანგეთს როგორ გაუტეხია სახელი, ანუ როგორ შეირყევა მისი თავმოყვარეობა, რაცა საფრანგეთის მთავრობამ თითონვე გამოაცხადა, რომ ის ადგილები ეგვიპტეს ეკუთვნისო. სამის წლის წინად ამ საგნის შესახებ ინგლისის განცხადება საფრანგეთს კეთილგანწყობად ხდის, იმ ადგილებს თავი დაანებოს, რომლების დაჭერაც ეხლა ეგვიპტეს შეუძლიანო. საფრანგეთმა თავისი სიტყვა უნდა შეასრულოს ეხლა და ეს სრულებითაც არ დაამტკიცებს იმას ქვეყნიერობის თვალშიო. ინგლისს სრულებითაც არ აქვს აზრად საფრანგეთის დამცირება; ინგლისისთვის იმაზედ უმაღლესი საგანი არ არსებობს, რომ საუკეთესო განწყობილება იქონიოს თავისს ძველს მეზობელთანო, მართალია, დაბოლოვა თავისი სიტყვა კიმბერლეიმ, ისეთი არაფერი არ არსებობს, რომელსაც ხელის შეშლა შეეძლოს ამ ორ სახელმწიფოსთვის—მეგობრულად დაბოლოვონ მათ შორის ატეხილი დავა. მაგრამ რაც უნდა იყოს, მხედველობაში მუდამ მარტო შერიგება რადი უნდა გაჩქონდეს, არამედ ძალაც უნდა შეგვწეოდეს ჩვენის ინტერესების დასაცველადო.

ᲥᲠᲘᲢᲘ. კრიტიდგან სრულებით გაიუკანეს ოსმალეთის ჯარები. მხოლოდ კანეაშია დარჩენილი დროებით ორი ათიტერი, რომელთაც ჩაბარებული აქვსთ ოსმალეთის სამხედრო კუთვნილებანი, სანამ ამათ ბეჭით არ გაჰგზავნიან, თუმცა-ქრისტიანები წინააღმდეგობას აცხადებენ, მაგრამ ოსმალეთის დროშა ჯერ კიდევ არ ჩამოუხსნიათ ამ ქალაქში.

ნოემბრის გასულს საბერძნეთიდგან შეკრებე დაბრუნდება კრიტიდგან გაქცეული 2,500 კაცი. ამათთვის სამშობლოში დაბრუნების სარჯს საბერძნეთი კისრულობს.

აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდენტს საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრისათვის დეპეშა გაუგზავნია, რომლითაც სამინისტროს მადლობას უცხადებს კრიტის მკვიდრთა სახელით ოსმალეთის მფლობელობისაგან კუნძულის განთავისუფლების გულწრფელად სელის შეწყობისათვის.

საფრანგეთი. როგორც ვიცით, საკასაციო პალატამ დაადგინა—დაუყოვნებლივ ატნობონ დრეიფუსს ეშმაკის კუნძულზედ, თუ რა მდგომარეობაში არის მისი საქმე. ამ გარდაწყვეტილებამ ერთობ ცუდათ იმოქმედა დრეიფუსის მოწინააღმდეგებზედ. ანტისემიტი ლოზა ამის გამო შეეკითხა პარლამენტში მინისტრ-პრეზიდენტს დაუპუის. მაგრამ მინისტრმა პასუხი არ მიუგო მას და განაცხადა, რომ უკანანი გადებულნი არიან სასამართლოს გარდაწყვეტილებას დაემორჩილონო. კავენიაკსა და დერულედს თანბირი ჰქონდათ ერთად და შემდეგ დაუპუისთან წავიდნენ სათხოვნელად—საკასაციო სასამართლოს დადგენილებას სისრულეში ნუ მოიყვანო. რაღა თქმა უნდა, ასეთი საოცარი თხოვნა მინისტრმა არ შეიწყნარა.

გაზ. „Figaro“-ს ანგარიშით, საკასაციო პალატის დადგენილების შესახებ დრეიფუსისათვის 3 ნოემბერს შუადღეზედ უნდა გაეგზავნათ დეპეშა, რომელიც 4 ნოემბერს დილით მიეცემოდა ეშმაკის კუნძულზედ. ვინ უნდა ეთქვა დრეიფუსის მახარობელი? მასთან მისვლის ნება მარტო ოთხს კაცს ჰქონია: გუბერნატორს, უფროს ბრალმდებელს, სატუსაღოების დირექტორს და მის თანაშეზეს, გვარად დენიალს. ჭორაობენ, რომ ამ უკანასკნელს მიანდობდნენ დეპეშის გადაცემას სასიამოვნო ამბის მიტანასა.

სასამართლოს მატიანე

ი. ბ. მეფისოვის მოკვლის საქმე.

(შემდეგი *)

ივანე მეფისოვის უძრავ ქონებათა შორის იმის სრულს განკარგულებაში იყო მხოლოდ სოფ. სუფლისის მამულები, დანარჩენი-კი თავისს ძმა მიხეილთან გაუყოფელი ჰქონდა. მიხეილ მეფისოვი ყოველთვის აწუხებდა ივანეს და საერთო, გაუყოფელ მამულიდგან სულ თითონა ჰკრეფდა შემოსავალს. ამის გამო ხშირად მოსდიოდათ უსიამოვნება, ხოლო განაწილებაზედ მიხეილ მეფისოვი არა თანხმდებოდა. ერიკოვმა განაცხადა, რომ ივანე მეფისოვს მტკიცედ ჰქონდა გარდაწყვეტილი, როდესაც სამართალით გაეყრებოდა ძმას, გიეყიდა თავისი მამულები, მე ვეყვე უზრუნველი, 1,000 მან. უდის ეკკლესიისათვის შეეწირა, ხოლო დანარჩენის ფულით იერუსალიმს წასულიყო. როგორც ეტყობოდა, ეს განზრახვა სისრულეში მოჰყავდა კიდეც, რადგანაც ერთი ბაღი გაჰყიდა და მეორეს გაყიდვის შესახებ მოლაპარაკება ჰქონდა დაწყებული. როდესაც მოწმე კაჩროშვილმა გარდასცა მიხეილ მეფისოვს, რომ შენი ძმა ასე აპირებსო, მიხეილმა უთხრა თურმე: „ეგ იქვე (თავისს სახლში) ჩაძაღლდებაო“. მეფისოვის დისწულმა გრიგოლ მჭედლიშვილმა დაამოწმა, რომ ივანე მეფისოვს ყველაფრის გაყიდვა უნდოდა და ჰსურდა გასცლოდა ახალციხის მაზრას, რადგან „ძმა არ მასვენებსო“. მიხეილ მეფისოვი ადგილობრივი მემამულეა, ოლქის უფროსად ნამყოფი და დიდი გავლენა ჰქონდა ახალციხის მაზრისა და აჭარის მკვიდრთა შორის. ბევრი ერთგული კაცი ჰყავდა სოფლელთა შორის. იმისი გავლენა ესოდენ ძლიერი იყო, რომ, საზოგადო აზრით, დაუსჯელად ყოველის დანაშაულის ჩადენა ადგილად შეეძლო. გამომძიებელმა ვოლოდკოვიჩმა განაცხადა, რომ პირველად საქმის გამოძიების დროს ბევრი დაბრკოლება დამხვდა წინ, რომელიც ჭეშმარიტების გამორკვევას მიშლიდა და რომელიც გამოწვეული იყო მიხეილ მეფისოვის გავლენითაო. ესევე განაცხადა პოლიციის ბოქაულმა გუგუშვილმა, რომელსაც ეს საქმე დაწყებისას გამოუძიებია. შემდეგ გამოირკვა, რომ მიხეილ მეფისოვს ამ მკვლელობის რამდენისამე თვის წინად მიუმართავს აჭარელ თევზაძისათვის და უთქვამს, რომ თუ „ერთს მოხუცს“ მოჰკლავ, 200 მან. მოგცემო.

ყოველ ამ გარემოებამ საფუძველი მისცა გამოძიებას ეფიქრა, რომ მიხეილ მეფისოვს ინტერესი ჰქონდაო მოეკლა თავისი ძმა ივანე, რადგან იგი თავისის ქონების გაყიდვასა და იერუსალიმში წასვლას იყო განზრახული და ეს-კი ივანე მეფისოვს ხელიდგან სამკვიდროს აცლიდა; მეორეს მხრივ ეს მკვლელობა ააჩქარებდა ივანეს ქონების მიხეილის საკუთრებად გადასვლას.

აშკარაა, თევზაძე ივანე მეფისოვის მოსაკლავად მიხეილ მეფისოვს გაუძრახებია. ვინც-კი მიხეილ მეფი-

*) იხ. „ᲘᲕᲔᲠᲘᲐ“, № 242

სოვს იცნობს, ყველა იმ აზრისაა, რომ იგი ბოროტი, ანგარი კაცია და არაფრის წინ არ შესდგება, ოღონდ-კი თავისი ბოროტი განზრახვა შეისრულოსო. ესეც აშკარადა ჰყოფს, რომ ივანე მეფისოვის მოკვლა იმისის ძმის მიერ გაძრახებულ კაცებს ჩაუდენიათ. ერიკოვს მკვლელობის ეჭვი მიტანილი ჰქონდა სოფ. დიდ-სმადას მცხოვრებელ მოლლა-ალი-მოლლა-მუსსა-ოღლიზედ, რომელსაც, როგორც მას შეეტყო, ივანე მეფისოვის მოკვლამდე ორი აჭარელი ჰყავდა თურმე სახლში დამალული. მკვლელობის ჩადენის წინა დღეს ერთი მოწმეთაგანი, ალი-დურსულ-ოღლი, დილიდგანვე აბასთუმანს წასულიყო კვერცხების გასასყიდად. როდესაც დაბრუნდა საღამო ხანს, „კონლში“, სოფ. სმადადგან 5 ვერსის მანძილზედ, შეხვდა თურმე თავისის სოფლის გლეხნი ტიუფენ-რაჯაბ-ოღლი და მურად-მავლიუდ-ოღლი, რომელთაგანაც პირველი მიხეილ მეფისოვის ტყის დარაჯია. ტიუფენ-რაჯაბ-ოღლის ხელში ცული ეჭირა. ერთს ვერსს რომ გაიარა კიდევ, შეხვდა ორი აჭარელი—ჰაჯი-ალი-საფი ოღლი და ალი-სარაჯ-ოღლი; პირველს მათგანს ხანჯალიჰქონდა, ხოლო მეორეს—იმერული. დანა. ამათ უკან მისდევდა მოლლა-ალი-მუსა-ოღლის შვილი—ფადლი. როდესაც მეორე დღეს შევიტყე მეფისოვის მოკვლის ამბავი, მაშინვე მივხვდი, სთქვა თურმე მოწმემ დურსუნ-ოღლიმ, რომ მისი ჩამდენი რაჯაბი და სხვანი იყვნენ, რომელნიც გზაში შემომეყარნენო.

ბოქაულ გუგუშვილის მოსამსახურემ ივანე ბალახოვმა განაცხადა, რომ, როდესაც გუგუშვილი იძიებდა ამ საქმეს და რაჯაბ-ოღლი, ფადლი, მოლლა-ალი-ოღლი და სხვანი ეჭვ მიტანილნი დააპატიმრა, მე, გუგუშვილის ბატანებით, ტახტ ქვეშ შევძვერი იმ ოთახში, სადაც ეჭვ-მიტანილნი შემოჰყავდათ, რათა ყური დამეგდო, რას ილაპარაკებდნენ ერთმანერთ შორისაო. ეს იმის შემდეგ იყო, როდესაც გამომძიებელმა სახლი გაუჩხრიკა ეჭვ-მიტანილთაო. ალი-ოღლიმ უთხრა მახეილ მეფისოვის მებაღეს ამბასას, „არ ვარგა, რომ გამომძიებელმა ჩვენს სახლში ჩოხა იპოვნა. კიდევ კარგი, რომ ნაბადს ვერ მიაგნო, რადგან ნაბადი კარგადა გვქონდა დამალულიო“:. შემდეგ დაუმატა: „როგორ გაგვაბა ჩვენმა ალა მიხეილმა. რომ არც მოდის სოფელში ჩვენდა დასახსნელად; ამისთანა ბატონს უნდა მიაფურთხოს კაცმაო“. ამის პასუხად რაჯაბ-ოღლიმ შენიშნა: „რამდენადაც ვიცი, მიხეილ-ალას უთქვამს ამას წინად, რომ ვერც გამომძიებელი და ვერც სხვა ვინმე ჩემთან ვერას გააწყობენ და ამიტომ ჩვენც არაფრის შიში არა გვაქვსო“. ფადლი-მოლლა-ალი-ოღლიმ უპასუხა: „ფეხებიდგან რომ ჩამომკიდონ, მაშინაც არ გავცემ ჩემს ალა მიხეილსაო“?

იმავე მოწმემ განაცხადა, რომ როდესაც მუსა-ოღლის სახლის გაჩხრეკა გავათავეთ, იმისმა ცოლმა რუშანამ, გამომძიებელი რომ გამოვიდა სახლიდგან, ტირილი დაიწყო. სახეზედ ხელები მიიფარა და სთქვა: „ალა-მიხეილი დაიღუპოს და პირი ცეცხლით აევსოს, რომ მთელი ჩვენი ოჯახი იმან დაღუპაო“. ამავე დღეს მუსა-ოღლიმ მთხოვა, მოელაპარაკე გუგუშვილს, დაარწმუნე, რომ, როგორც ყველამ იცის, უმთავრესი, დამნაშავე ამ საქმეში მე-კი არა ვარ, არამედ სხვა ვიღაცა და ამიტომ გუგუშვილი მე და ჩემს შვილებს სიბრალულით მოგვეპყრასო.

არც ერთმა ბრალდებულმა თავისი თავი დამნაშავედ არ აღიარა.

—

ფილიპოს სუქიასოვის მოკვლის საქმე.

1898 წელს ნოემბრის 12-ს ტფილისის ოლქის სასამართლომ გაარჩია საქმე ოჰანეზ შაჰგიალდოვისა, რომელსაც ჰბრალდებოდა ფილიპოს სუქიასოვის მოკვლა. სასამართლოს თავმჯდომარედ იყო ე. თ. ბურგარტი, ხოლო სასამართლოს წევრებად: დ. ე. ჩერნიკი და საპატიო მომრიგებელი მოსამართლე თავ. დ. სუმბათაშვილი. ბრალსა სდებდა ბრალმდებელის თანაშემწე ე. ს. ჯალალოვი. მდივნის თანამდებობას ასრულებდა ნ. ფურცელაძე, ბრალდებულს იცავდა ნაფიცი ვექილი პ. ა. ოპოჩინინი. საქმის გარემოება შემდეგია: ხოსროევის ქარვასლაში გამართული იყო სადილი ხელმოწერით, რომელსაც დაესწრო 15 კაცი. სადილის დროს ბევრი ღვინო დაილია. ყველანი სვამდნენ, გარდა ოჰანეზ შაჰგიალდოვისა, რომლის თაოსნობითაც იყო გამართული ეს სადილი. დამსწრეთ სთხოვეს შაჰგიალდოვს, შენც ღვინო დალიეო, მაგრამ ის მხოლოდ წყალსა სვამდა. ფილიპოს სუქიასოვმა შაჰგიალდოვს ლიტრა ააცალა. ამაზედ ლაპარაკი მოუვიდათ და სუქიასოვმა სილა შემოჰკრა შაჰგიალდოვს. მერე ორთავენი დაამშვიდეს სადილზედ დამსწრეთ. ცოტა ხანს შემდეგ ისევ ჩხუბი მოუვიდათ და შაჰგიალდოვმა სუქიასოვი სამ ალაგას დასჭრა. სუქიასოვი ამ ჭრილობისაგან გარდაიცვალა. სასამართლომ შაჰგიალდოვი დამნაშავედ სცნო და მიუსაჯა—ყოველისავე უფლებათა და უპირატესობის ჩამორთმევა და სამის წლით დაპატიმრება პატიმართა განყოფილებაში.

ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ერთს ჟურნალში დაბეჭდილია ფრიად საყურადღებო ცნობები შესახებ იმისა, როგორ შეიძლება გამოიყენოს ჯარმა ელექტრონის ძალა მტერთან ბრძოლის დროს.

ერთს ელექტრო-ტეხნიკს, გვარად ბერლინგერს გამოუგონია ისეთი მანქანა, რომლის ელექტრონის ძალას შეუძლიან მტრის მთელი ფლოტი გაანადგუროს. მანქანა ერთს გემზე იქმნება გამართული და ამგვარად ერთს ასეთს გემს თამამად შეუძლიან შეებრძოლოს მტრის მთელს ფლოტსა.

მეორე ელექტრო-ტეხნიკს, სახელად სილის გამოუგონია თოფი, რომელიც ელექტრონის ძალის შემწეობით სეტყვასავით მიაყრის მტერს ტყვიასა. ეს თოფი უფრო იმით არის საშიში, რომ სროლის დროს სრულებით ხმას არ იღებს და არც კვამლი სჩანს.

ორმა ელექტრო-ტეხნიკმა, ბენარდოსმა და ოლშევსკიმ გამოიგონეს ისეთი მანქანა, რომლის შემწეობით შეიძლება მტრის გემის ფოლადის ძირი ისე დახვრიტონ, რომ ცხრილს დაემზგავსოს.

კაპიტანმა ზალინსკიმ (ამერიკის შეერთებულ შტატებში) გამოიგონა ისეთი ყუმბარები, რომელსაც საოცარის სიძლიერით ისვრის ელექტრონის ბატარეია. ეს ყუმბარები სწორედ რომ ოსტატურად არის გაკეთებული. დიდს მანძილზე გატყორცნილი ყუმბარა სრულებით უვნებელია, ვიდრე წყალში არ ჩავარდება, მაგრამ თუ წყალში ჩავარდა, იმ წამსვე იფეთქებს და მტრის გემს ძლიერ დააზიანებს.

ასეთივე ყუმბარები გამოუგონიათ ამერიკაში ზღვის ძირში გამართულ ნაღმების ასაფეთქებლად, ვსთქვათ, გემს უნდა მტრის სახელმწიფოს ნაპირას გამოვიდეს, სადაც კარგად იცის ყველამ, ნაღმებია გამართული, რომლებსაც იმ დროს ააფეთქებენ, როდესაც დაუპატიჟებელი სტუმარი ეწვევათ. გემიდგან ზღვაში ესვრიან ამ ახალ გამოგონილ ყუმბარებს. ყუმბარა მხოლოდ მაშინ იფეთქებს, როდესაც ზღვის ძირზე დაეცემა და შიგ გამართულ ნაღმებს ააფეთქებს. მაშინ გემსაც სამშვიდობო გზა გაეხსნება.

დიდად საშიშია აგრედვე ახლად გამოგონილი ამერიკელების მიერ გძელი და კუდიანი ყუმბარა. ყუმბარას კუდზე მიმაგრებული აქვს დიდი ბორბალი, რომელიც გატყორცნის დროს ტრიალს იწყობს. წყალში რომ ჩავარდება ეს ყუმბარა, ჯერ კარგა ხანს მისრიალებს, მერე ბორბალი მოვარდება და ყუმბარა აფეთქდება.

გალნინის მიერ გამოგონილი ნავი სწორედ რომ საოცარი რამ არის. ნავში ადამიანი არ არის. ხოლო ნავს მიმართულებას აძლევენ ნაპირიდგან ელექტრონის მანქანისა და ნავზე მიბმულ მავთულის შემწეობით. მტრის გემთან რომ მივა ეს ნავი, იმ წამსვე გადააბრუნებენ და გემს ყუმბარებს დაუშენს, შემდეგ ისევ ნაპირისაკენ დაბრუნდება.

ამერიკის ზოგიერთ ჯავშნიან გემებს სწორედ ამ გვარი ნავები აქვთ. ამ ნავებს ამოძრავებს და ამუშავებს მტრის გემის საზიანოდა და საღუპავად მხოლოდ ერთი კაცი, გემის უფროსი.

ამერიკის ეხლანდელ გემებზე ყველაფერი ელექტრონით კეთდება. ელექტრონი სცლის ყუმბარებს, ელექტრონი ამოძრავებს თვით გემსა და ნავებს და სხვ.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

11 ნოემბერი

პეტერბურგი. ზღვათა სამინისტროს მმართველის მაგიერად სამინისტროს მმართველობა ჩაჰბარდა ადმირალის თანაშემწეს აველანს.

გარეშე საქმეთა მინისტრი შეუდგა სამინისტროს მმართველობას.

შავის ჭირის წინააღმდეგ საბრძოლველად დაარსებული კომისია აცხადებს, რომ ანზობში ამ უკანასკნელ დღეებში შავის ჭირით ავად არავინ გამხდარა. ანზობის მიდამოებში სრული მშვიდობიანობაა. ინდოეთიდგან მოსულ ცნობებიდგანა სჩანს, რომ ბომბეის სპრეზიდენტოში 15 ოქტომბრიდგან 21 ოქტომბრამდე შავი ჭირი შესამჩნევად გაძლიერდა: კვლავ ავად გახდა 6,525, გარდაიცვალა 5,077, მაშასადამე წარსულ კვირასთან შედარებით ავად გახდა 852 კაცით მეტი, გარდაიცვალა 856 კაცით მეტი.

ვაშინგტონი. ფილიპინის შესახებ პასუხში ამერიკა აცხადებს, რომ განზრახვა გვაქვს ფილიპინები ღია დარჩეს მსოფლიო ვაჭრობისათვისაო.

პარიჟი. საფრანგეთ-იტალიის შორის სავაჭრო ხელშეკრულობა უკვე ხელ-მოწერილია.

ბუდაპეშტი. უწესოებამ გასტანა ღამის 11½ საათამდე, როდესაც კრება დაიშალა. ოპოზიცია მეტის-მეტად ჰყვიროდა. პალატის გარეშეც დემონსტრაციები მოხდა. პოლიცია იძულებული შეიქმნა საქმეში ჩარეულიყო.

ბუდაპეშტი. დეპუტატთა პალატა. პრეზიდენტმა კვლავ ლაპარაკი დაიწყო გუშინდელ ამბების შესახებ, რომელთაც შეარყიესო,—სთქვა მან,—კანონმდებლობა პარლამენტის წესიერებისა და რომელთაც შეუძლიანთ პარლამენტის საქმეები შეარყიოს. პრეზიდენტი სჩივის ამ ამბების გამო და თან იმედოვნებს, ამგვარი ამბავი აღარ განმეორდებაო. გონვედთა მინისტრსაო,—სთქვა პრეზიდენტმა შემდეგი სიტყვები მოესმა: „თქვენ არ შეგფერით პატიოსნებაზე ლაპარაკი“. მინისტრი სთხოვს დეპუტატს, ვინც ეს სიტყვები წარმოსთქვა, დაასახელოს თავისი თავი. ოსკარ ივანკამ განაცხა, მე მხოლოდ ვთქვი: „პატიოსანი სიტყვა ვადით“. გაონვედთა მინისტრი ამბობს, რადგანაც მე ის სიტყვები მომესმა მხოლოდ და მართლა-კი არა ყოფილა თქმული, პალატას ვთხოვ ჩემი სიტყვებიც ისე ჩასთვალოს, ვითომ სულ არ მითქვამსო. (ხანგრძლივი ხმა მოწონებისა). საქმე ამით გათავდა. გონვედთა მინისტრი განაგრძობს გუშინდელს სიტყვას.

მასსოვა. ადის-აბებიდგან მოსულ ცნობებიდგანა სჩანს, რომ მენელიკი ამ ჟამად ბანაკშია, სატახტო ქალაქიდგან 9 საათის სავალზე და მასთანვე არიან წარმომადგენელნი იტალიისა, საფრანგეთისა და რუსეთისა. ოქტომბრის დამლევს აქ მოვიდა ინგლისის წარმომადგენელი გარრინგტონი, თან მიიტანა საჩუქრები და დედოფლის მიერ მოწერილი თავაზიანი ეპისტოლე ნეგუსსთან. გარრიგტონის მიღების დროს მიპატიჟებული იყო მხოლოდ იტალიის წარმომადგენელი.

პარიჟი. საკასაციო პალატამ მოისმინა ჩვენებანი ბუადეფრისა და გონზისა და შეატყობინა პიკარს, რომ თქვენ დღეს ჩვენებას ვერ ჩამოგართმევთო. პიკარი ამის გამო ისევ შერშ-მიდის საპატიმროში წაიყვანეს.

12 ნოემბერი

პეკინი. ბოგდიხანი ისევ მძიმე ავად არის. ამბობენ, რომ სხვის დაუხმარებლად სიარული არ შეუძლია მასო. საქმის მცოდნე კაცების სიტყვით დიდხანს ვერ იცოცხლებსო იგი.

კანდია. სიმაგრის ერთი ნაწილი „იზედინი“ სუდის თავთსადგურში დაქცეულ იქმნა.

პარიჟი. საკასაციო პალატა ისმენს პიკარის ჩვენებას.

„Matin“-ი ამტკიცებს, რომ მართლა გასჩხრიკეს კიდევ სახლებიო და 43 წერილში, რომელიც გაჩხრეკის დროს იპოვნეს, 5 დრეიფუსის საქმეს შეეხებაო. წერილები ესტერგაზის სახელობაზედ არის გამოგზავნილი სხვა და სხვა სამხედრო კაცთაგან 1894—1895 წ. თარაღით. „ამის შემდეგ ეჭვი აღარავის უნდა ჰქონდეს, რო როლს თამაშობდა ესტერგაზი დრეიფუსის საქმეში“. „Matin“-ი გვარწმუნებს, ვითომც ბუადეფრის ჩვენებიდგან გამოდიოდეს, რომ მთავარ შტაბის უფროსად ნამყოფმა დაწვრილებით იცოდა ის ფაქტები, რომლის გამო პიკარმა ეჭვი აიღო ესტერგაზზედ, და სახელდობ მაშინ გაჰგზავნეს პიკარი განსაკუთრებულის მინდობილობით ალჟირში.

ბერლინი. საფრანგეთსა და იტალიის შორის დადებულ სავაჭრო ხელ-შეკრულების გამო „Klein. Jour.“ სწერს: „თუმცა როგორც ორთა, აგრეთვე სამთა კავშირები ჯერ კიდევ მაგრა არიან დამყარებულნი, მაგრამ მაინც მათ შორის დამოკიდებულებას სასიხარულო ცვლილება დახტყო, ჩვენს იმპერატორსა და იმპერატორს ნიკოლოზის შორის სრული თანხმობა სუფევს მთავარ საპოლიტიკო კითხვებში რაც შეეხება საფრანგეთს, ჩვენი ხელმწიფე არც ერთს შემთხვევას არ გაუშვებს, რომ თავისი მშვიდობის-მოყვარეობა არ განაცხადოს. იმპერატორი ფრანცს იოსებს, მრავალ ჯერ, განსაკუთრებით აღმოსავლეთ ასიის დროს, განუცხადებია, რომ რუსეთის ლიტიკის თანახმად ვიმოქმედებ, თუმცა ამავე დროს გერმანიასთან საზეგობრო განწყობილებას არ ვუღალატებ, როგორც სამთა კავშირის წევრი. ამ ბოლოს დროს საფრანგეთს უფრო და უფრო ეტყობა, რომ გერმანიასთან დაახლოვებას არის მოწადინებული. ჩვენ, რასაკვირველია, არ ვოცნებობთ უფრო მეტად დაკავშირებას, მაგრამ ანგლო-საქმეთა გაძლიერებამ, როგორც ეს ესპანია-ამერიკის ომის დროს აღმოჩნდა და უფრო-კი ფაშოდის საქმეში, პარიჟი დააფიქრა. იტალიაც სცდილობს ეხლა დაუახლოვდეს საფრანგეთს.

ლონდონი. ინგლისსა და შეერთებულ შტატებს შორის მოლაპარაკებაა კუნძულ სოკოტორზედ ნახშირის საწყობის გამართვის შესახებ და აგრეთვე იმის შესახებაც, რომ ეს კუნძული იჯარით გარდაეცეს შეერთებულ შტატებს.

განცხადებანი

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისაგან

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის მმართველობა, ბანკის წესდების მე-14 §-ის თანახმად, შეცვლილისა და დამატებულის „მთავრობის კანონდებულებათა და განკარგულებათა“ 1898 წლის მე-82 და 114 №№-ში განცხადებულისამებრ, ამით აცხადებს, რომ 17, 19 და 21 დეკემბერს ამა 1898 წლისას, დღისით, ქ. ტფილისში, ბანკის სადგომში, ფრეილინის ქუჩაზედ, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა სახლში, საჯარო ვაჭრობით გაისყიდება, ვაჭრობის განუმეორებლად, უძრავი ქონებანი ქვემოხსენებულთა, ბანკის წესდებით დადგენილ გარდასახდელების შემოუტანლობისათვის, 12, 13, 14 15, 17 და 18 §§-მებრ.

ვაჭრობა, ბანკის წესდების მე-17 §-ის თანახმად, ქვემოხსენებულ ვალის ჯამიდგან დაიწყება და მასვე მიემატება სავადო და სხვა გარდასახდელი ხარჯი. თავნი ვალი გრძელვადიანი სესხისა შეიძლება შემოიტანონ ამა ბანკის გირავნობის ფურცლებით, რომელიც მიღებულ იქმნება თავისის დარქმეულ ფასისამებრ მანეთი მანეთად და აგრეთვე შეიძლება ბანკის თანხმობით ვალი მყიდველზედ იქმნას გადატანილი; სავადო შემოსატანისა და სხვა გარდასახადისათვის-კი ნაღდი ფული უნდა იქმნას შემოტანილი.

ვინიცობაა ამ წლის 17, 19 და 21 დეკემბერს დანიშნული ვაჭრობა არ შესდგა, ბანკის წესდების მე 20 §-ს საფუძველისამებრ, მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა იქმნება 4 იანვარს 1899 წლისა. ბანკის წესდების მე-15 §-ს თანახმად, მსესხებელს ნება ეძლევა შემოსატანი, სარგებლით ვადაზე შემოუტანლობისათვის, და აგრეთვე ყოველივე ხარჯი მამულის სავაჭროდ დანიშვნისათვის, ვაჭრობის დღემდე შემოიტანოს. ვაჭრობა მოხდება: ა) ქალაქის მამულებისა: 1) ტფილისისა 17 დეკემბერს, 2) ტფილისს გარეშე ქალაქებისა 19 დეკემბერს; ბ) სოფლის მამულებისა 21 დეკემბერს. ხოლო მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა ყველა მამულებისა მოხდება 4 იანვარს 1899 წლისა.

ქალაქის მამულები ტფილისისა.

გუნაკოვი კუზმი ტერენტის ძე: ერთ-სართულიანი სახლი სარდაფითა ღა საჯინიბეთი. მიწა ზომით 161 ოთხ-კუთხი საჟ., ანუ რამდენიც აღმოჩნდება ტფილისის მე-10 ნაწ. დიდუბეში.

თავნი ვალი 367 მ. 58. შემოს. გარდ. 40 მ. 30 კ. სულ 407 მ. 88 კ.